# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 101

„23" სექტემბერი 2014 წ.

ქ. თბილისი

**კახაბერ გვანცელაძის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ტექნოლოგიური განვითარების ფონდის უფროსის თანამდებობაზე დროებით მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 79–ე მუხლის პირველი ნაწილის, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 30–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ტექნოლოგიური განვითარების ფონდის უფროსის თანამდებობაზე დროებით მოვალეობის შემსრულებლად კახაბერ გვანცელაძის კანდიდატურის წარდგენის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2014 წლის 10 სექტემბრის №06.05.44 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ტექნოლოგიური განვითარების ფონდის უფროსის თანამდებობაზე დროებით მოვალეობის შემსრულებლად კახაბერ გვანცელაძის (დაბადებული: 21.10.1977 წელს; პირადი № 60001003145) დანიშვნაზე.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი